საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ბიძინა სტურუას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ბიძინა სტურუას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ბიძინა სტურუა არის კორექტული, თავდაჭერილი და აქვს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი კოლეგებში სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომელთაც ბიძინა სტურუასთან აქვთ სამსახურებრივი თუ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			პირადი ხასიათის ურთიერთობა მას აფასებენ დადებითად.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	ბიძინა სტურუა სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამართლის ფილოსოფიას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. აგრეთვე, ბიძინა სტურუა ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის V ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 93-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	ბიძინა სტურუას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და საკუთარი შეხედულებების დასაბუთებულად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	20	20	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შესაბამისი წერის უნარით. კერძოდ, ბიძინა სტურუა წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში სწორად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს, ამასთან, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ცხადი და არაორაზროვანი.

[1] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის განაჩენი, საქმე N050-00-18002750-50.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების კარგი უნარი. იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნება და გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	ბიძინა სტურუა გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შეადგენს 100%-ს, ხოლო უცვლელად დატოვებული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი 97,9%-ს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის დიდი ინტერესი, ესწრება არაერთ სემინარს, სასწავლო კურსსა და კონფერენციას.
პროფესიული აქტივობა	4	5	ბიძინა სტურუას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. მართალია იგი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა, იგი იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ასევე კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში მოპოვებული აქვს კვლევითი სტიპენდია და განხორციელებული აქვს სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა“. მას, ასევე, გავლილი აქვს ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მე-4 მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა.
ქულათა ჯამი	96	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ბიძინა სტურუა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ბიძინა სტურუას შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ბიძინა სტურუას დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომნედაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ბიძინა სტურუას შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით მის *პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ბიძინა სტურუას პირად თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები გამოყოფენ მის შემდეგ თვისებებს: კორექტულობას, პატიოსნებას, თავდაჭერილობას და პასუხისმგებლობის გრძნობას. აღსანიშნავია, რომ ბიძინა სტურუას გააჩნია პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი

	ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები. *დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. აგრეთვე, ბიძინა სტურუას რეკომენდატორები აფასებენ როგორც პრინციპულ, დამოუკიდებელ და სამართლიან პიროვნებას. რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბიძინა სტურუასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი არის საკმაოდ მშვიდი, გაწონასწორებული, თავაზიანი, თავდაჭერილი პიროვნება და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. გამოკითხული რეკომენდატორების აზრით კი იგი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიძინა სტურუას წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუა ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, 2014 წელი). რაც შეეხება *პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს* კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუას თაობაზე ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ასევე, მედია დაინტერესდა მისი ქონებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან* დაკავშირებით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ბიძინა სტურუას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და

	არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ბიძინა სტურუას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა სტურუა სისხლის სამართლის მიმართულებით კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამართლის ფილოსოფიასა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. ამასთან, იგი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ბიძინა სტურუას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის V ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 93-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 12 თებერვალს ბიძინა

	სტურუასთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. კანდიდატი ღიად და ნათლად გადმოსცემდა საკუთარ მოსაზრებებს. დამაჯერებლად მსჯელობდა დასმულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნარს,</u>* ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ბიძინა სტურუას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ამჟამად წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს და ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა წერის უნარით. კერძოდ, ბიძინა სტურუა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სწორად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს, ამასთან, მისი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ცხადი და არაორაზროვანი. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის *<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან, ბიძინა სტურუა არის მშვიდი, გაწონასწორებული და შეუძლია საკუთარი პოზიციის გამართულად, თანმიმდევრულად და ნათლად გადმოცემა. მას, ასევე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ბიძინა სტურუას *<u>პროფესიულ თვისებებთან, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან</u>* დაკავშირებით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, მენეჯერული უნარ-ჩვევებით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა

[2] იხ. ბიძინა სტურუასთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=8eWAR7Hxyb8

[3] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის განაჩენი, საქმე N050-00-18002750-50.

	მაჩვენებელმა შეადგინა 100%, ხოლო უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა მაჩვენებელმა 97,9%. კანდიდატის *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის</u>* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის დიდი ინტერესი. ბიძინა სტურუა აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა, კანდიდატი იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამასთან, კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბიძინა სტურუამ მოიპოვა კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში. აგრეთვე, მან ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტში (ასევე DAAD-ის სტიპენდიის ფარგლებში) განახორციელა სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა“. მან, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ბიძინა სტურუასთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულმა ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 96 ქულა. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ბიძინა სტურუა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ბიძინა სტურუას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს სამი,

		საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ორი, 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევა. აღნიშნულ სამართალდარღვევებს აქვთ ვადაგასულის სტატუსი. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით და სიზუსტით სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. ბიძინა სტურუა რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების აზრით, პრინციპული, პიროვნულად მტკიცე და შეუვალი პიროვნება. ადამიანებს ეპყრობა თანაბარი პატივისცემით და ღირსებით. გადაწყვეტილებებს იღებს

		დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი, გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და კორექტულობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. აღნიშნავენ, რომ თანამშრომლებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას მართავს საკუთარ ემოციებს, დინჯი და თანმიმდევრული ადამიანია. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. ბიძინა სტურუა ფიგურირებს ერთ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსით (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით - სასამართლოს უპატივცემულობა) სისხლის

		სამართლის საქმეზე დამდგარია განაჩენი. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს საქმიანი და გულისხმიერი პიროვნების, ასევე მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის იურისტის სახელით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია განხილული საქმეების თაობაზე მათ შორის შაქარაშვილის საქმე, დავა "გურია მოამბესა" და ოზურგეთის მერიას შორის და სხვა. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ბიძინა სტურუას საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. სანქციად დაკისრებულ ჯარიმებს

			მინიჭებული აქვს ვადაგასულის სტატუსი. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა სტურუა ძალიან კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალურ ნორმებს. წარმოდგენილ განაჩენში, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებთან შეფარდების პარალელურად, დეტალურად და

			ვრცლად არის განხილული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიულ საფუძვლები. განაჩენთა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სწორად აცნობიერებს მის მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. ამასთან გააჩნია დასმული საკითხის საგნობრივი ანალიზის, ასევე ნორმათა განმარტების უნარი. წარმოდგენილ გადაწყვეტილების მიხედვით, კანდიდატი ადეკვატურად იშველიებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. მიმაჩნია, რომ მას გააჩნია დასმული საკითხის ზუსტად წარმოჩენისა და თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეუძლია სათანადოდ მოიძიოს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული მასალა, სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და სიღრმისეულად განიხილოს და შესაბამის სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და პრაქტიკა. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი</u>

			ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას. მიმაჩნია, რომ შესწავლილ განაჩენში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია სრულფასოვნად და დასაბუთებულია დამაჯერებლად. გასაუბრებისას თვალსაჩინო გახდა, რომ კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის არა მარტო სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზის გაკეთება, არამედ საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა. ჩემი აზრით, ბიძინა სტურუას გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი. ბიძინა სტურუას 15 წლიანი პროფესიული გამოცდილება სრულად სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობას მოიცავს. მათ შორის, გააჩნია 10 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება. 2011 წლიდან ასრულებდა სხვადასხვა რაიონული და საქალაქო სასამართლოების მოსამართლის (ასევე, თავმჯდომარის) უფლებამოსილებას. 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე არის მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

წერის უნარი	19	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია ხარისხიანად და კარგად იკითხება. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის ადვილად აღსაქმელია. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვს დახასიათებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს, ასევე რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

			შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, მისი მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. არის თავდაჯერებული და შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი, კომუნიკაბელური და მოწესრიგებული ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, როგორც წესი, გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, სასამართლოების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის პირველი აგვისტოდან 2020 წლის პირველი აგვისტომდე მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: ბიძინა სტურუას საანგარიშო 1052 დღეში დასრულებული აქვს 1135 საქმე (დღეში საშუალოდ 1,1 საქმემდე), რაც მისი სამუშაო

			რეჟიმის კარგ დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვისა (100%) და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (100%) უმაღლესი მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (97,9%) უმაღლესი მაჩვენებელიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი საკმაოდ ეფექტიანად წარმართავს მის საქმიანობას, არის ორგანიზებული და სათანადო პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალი. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუას ახასიათებს გულმოდგინეობა, სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და აქვს გუნდური მუშაობის უნარი. კანდიდატის პროფესიული თვისებები პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსაც.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ბიძინა სტურუამ 2006 წელს, შესაბამისი კომპლექსური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, ჩააბარა მოსამართლის თანაშემწის ტესტური გამოცდა, ხოლო 2009 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ასევე,

			კანდიდატს წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა (2010-2011წ.). კანდიდატი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია კრეატიულ, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობაში აქტიურად ჩართულ და სიახლეების მაძიებელ პროფესიონალად. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების სრულად რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 4 ტრენინგი, 5 სასწავლო კურსი, 1 სტაჟირება; დაესწრო 16 სემინარს და 2 საერთაშორისო კონფერენციას). კანდიდატი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, 2007-2009 წლებში მოსამართლის თანაშემწედ საქმიანობის პარალელურად იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი (ასისტენტ პროფესორი). 2012-2013 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის არმქონე მასწავლებელი. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (მიუნსტერისვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტის) ორგზის სტიპენდიანტია: 2004-

			2005 წლებში და 2018 წლის განმავლობაში. კანდიდატის სამეცნიერო პუბლიკაციების ან სხვა სახის პროფესიული აქტივობისა და დამსახურებების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.
ქულათა ჯამი	94	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ბიძინა სტურუას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ბიძინა სტურუა.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის I-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **ბიძინა სტურუა**

ასაკი: **40 წლის**

დაბადების თარიღი: **17 ივლისი, 1980წ.**

განათლება: **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული;**

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა.
- მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა (გერმანია).

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **14 წელი**

სამუშაო ადგილი: **მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე / ამავე სასამართლოს თავმჯდომარე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ბიძინა სტურუას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, კორექტულობას, პასუხისმგებლიანობას, პრინციპულობას, დამოუკიდებლობას, თავდაჭერილობას, შრომისმოყვარეობას, პუნქტუალურობას, პროფესიონალიზმს და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

- ბიძინა სტურუას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლი, ნაწ. 8 (ამკრძალავი ნიშნის - „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა; ჯარიმა - 10 ლარი, 2 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლი, ნაწ. 1 („სიჩქარის გადაჭარბება“, ჯარიმა 50 ლარი, 1 შემთხვევა). აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლა არ იძლევა საფუძველს, ეჭვი იქნეს შეტანილი მის პატიოსნებაში, კეთილსინდისიერებაში, მოვალეობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობაში, **რაც მიქმნის შესაძლებლობას, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

კანდიდატს აქვს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ, არის წინასწარი განწყობებისაგან თავისუფალი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბიძინა სტურუა მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 22 დეკემბერს ბიძინა სტურუა ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით).

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის ქცევა მკვეთრად იყო მოქცეული ეთიკის ნორმებში, რაც მიუთითებს, რომ მას აქვს საკუთარი ქცევის მართვის უნარი, არის თავდაჭერილი, გასაუბრების მიღმა მისი მხრიდან ასევე არ გამოვლენილა სამოსამართლეო ეთიკის წესების დარღვევა, არის კორექტული როგორც კოლეგების, ისე გარეშე პირთა მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და

ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით **კანდიდატის შეფასებისას**</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე, არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია, ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ბიძინა სტურუას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ბიძინა სტურუას მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის განაჩენი, საქმე N050-00-18002750-50 (საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის პირველი ნაწილი, 115-ე მუხლი).

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული

პასუხები და მიმაჩნია, რომ ბიძინა სტურუა ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და იყენებს სამოსამართლო საქმიანობაში.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა კვალიფიციურად მიმოიხილა ადამიანის უფლებების ნაწილში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტები, საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები და უპასუხა მათ ირგვლივ დასმულ ზოგად შეკითხვებს.

დისკრიმინაციის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა სიღრმისეულად ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე, დასაბუთებისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ შეფასების ტესტებს. აღნიშნული ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატი იცნობს ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე სამართალშემოქმედების პროცესში.

კანდიდატმა დამაჯერებლად და კომპეტენტურად განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვანი ასპექტები, ვრცლად ისაუბრა სისხლის სამართალში ნახევრად ინკვიზიციურობის პრინციპზე, მის დადებით და უარყოფით ასპექტებზე, თანმიმდევრულად ისაუბრა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებზე, მათ შორის, ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მტკიცებულებათა გაცვლის საკითხებზე. საინტერესო იყო მისი მსჯელობა ნიშნის იდენტიფიცირების გარეშე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, ასევე საერთო სასამართლოებისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების თაობაზე გაკეთებული შეფასებების სავალდებულოობის შესახებ, სადაც მან სიღრმისეულად ისაუბრა ნორმისათვის ახალი შინაარსის მინიჭების დაშვების შესაძლებლობის თაობაზე. ნოვატორული იყო კანდიდატის ხედვები ელექტრონული წარმოების საკითხებზე, რაც მიუთითებს მის პროგრესულ ხედვებზე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ბიძინა სტურუას გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება. იგი ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ გამოცდილებაზე. მას გადაწყვეტილება მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით. გადაწყვეტილებაში, ასევე გასაუბრების პროცესში, მისი მოსაზრებები ძირითადად არის მკაფიო, თანმიმდევრული და დასაბუთებული.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

მითითებული მახასიათებელი შევაფასე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებისა და მის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე და ვთვლი, რომ კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, ასევე გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული, სისტემური და მარტივად აღქმადი.

წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ადასტურებს კანდიდატის წერის მაღალ კულტურას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **19 ქულით.**

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ბიძინა სტურუა აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, გააჩნია მოსმენის მაღალი კულტურა, საუბრის პროცესში არის მშვიდი, გახსნილი და დამაჯერებელი. აქვს აკადემიური მეტყველების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ბიძინა სტურუას მიერ განხილული საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 97,9%; შეცვლილი -2,1%.
- საანგარიშო პერიოდში (1052 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1135 საქმე, დღეში საშუალოდ 1,1 საქმემდე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად მართავს საქმეთა ნაკადს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად ახორციელებს პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტიპის ლექცია/სემინარს და კითხულობს ლექციებს, არის ორგანიზებული, აქვს როგორც საქმეთა განხილვის, ისე სტაბილურობის მაღალი მაჩვენებელი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. იგი მიღებულ ცოდნას იყენებს როგორც სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში.

კანდიდატმა მოიპოვა კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში (01.10.2004 -01.10.2005 წწ.).

ბ. სტურუამ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიის ფარგლებში განახორციელა სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა"- ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტი (21.06.2018-20.08.2018 წწ.).

კანდიდატმა გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (29.03.2019-15.04.2019 წწ.).

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, იგი ავტორია რამდენიმე სამართლებრივი ნაშრომის, რომლებიც გამოყენებადია პრაქტიკული და თეორიული მიზნებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ბიძინა სტურუას

მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი: 27.05.2021

ბიძინა სტურუა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2021 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დარღვევისთვის ბიძინა სტურუას დაკისრებული აქვს მცირე - 10 და 50 ლარის ოდენობით ჯარიმები, დაკისრებული ჯარიმები კი კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. ბიძინა სტურუას რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთილსინდისიერებაზე, შრომისმოყვარეობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, პრინციპულობას. გამოკითხული პირები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, პრინციპულს, მიუკერძოებელს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

		3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავდაჭერილი, პატიოსანი. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. კანდიდატი 2006-2010 წლებში იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2012-2013 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მონაწილეობა აქვს

		მიღებული სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. ბიძინა სტურუას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია განხილული საქმეების თაობაზე. მათ შორის არის შაქარაშვილის საქმე, დავა „გურია მოამბესა“ და ოზურგეთის მერიას შორის. მედიამ გააშუქა შეკვეთილის აქციაზე დაკავებულების, ასევე ოკინაშვილის საქმეები. მედია დაინტერესდა მოსამართლის ქონებით. **5. <u>ფინანსური ვალდებულება</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ბიძინა სტურუა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ ბიძინა სტურუა აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას

კომპეტენცია			ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი კარგად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებსა და სამართლის მეცნიერების მოსაზრებებს. საჯარო მოსმენის შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერის უნარი	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა,

			განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიღების უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე. საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს სათანადოდ (100%), მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი არის სათანადო (100%). საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 1,1 საქმე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა წარმოადგენს 97.9 %-ს. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა.
			მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუა პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. კანდიდატს მოპოვებული აქვს კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში (01.10.2004 - 01.10.2005 წწ.). ბიძინა სტურუამ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიის ფარგლებში განახორციელა სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა"- ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტი (21.06.2018-20.08.2018 წწ.). კანდიდატმა გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (29.03.2019-15.04.2019 წწ.). კანდიდატმა 2005 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. 2005 წელს დაამთავრა მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის

			უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა (გერმანია).
პროფესიული აქტივობა	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. ბიძინა სტურუა წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრასა და სემინარში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.
ქულათა ჯამი	90	100	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: [signature]

თარიღი: 24.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: თამარ ღვამიჩავა

თარიღი: 28.05.2021.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის **ბიძინა სტურუას შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ბიძინა სტურუას** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2021 წლის 12 თებერვალს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=8eWAR7Hxyb8

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **ბიძინა სტურუა** არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ბიძინა სტურუას** კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდატი ბიძინა სტურუა გახლავთ 40 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 14წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელზე მეტი, კერძოდ, 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 3 დეკემბრამდე იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2012 წლის 3 დეკემბრიდან 2019 წლის 18 სექტემბრამდე იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2019 წლის 18 სექტემბრიდან 23 დეკემბრამდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, 2019 წლის 2 დეკემბრიდან ამავე კოლეგიის თავმჯდომარე. 2019 წლის 23 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2019 წლის 27 დეკემბრიდან არის მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, კორექტულობას, პასუხისმგებლიანობას, პრინციპულობას, დამოუკიდებლობას, თავდაჭერილობას, შრომისმოყვარეობას, პუნქტუალურობას, პროფესიონალიზმსა და ა.შ. რესპოდენტები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატმა ბიძინა სტურუამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - სემინარი.
- გერმანული ენა, გოეთეს ინსტიტუტი - სასწავლო კურსი; გიოტინგენი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.
- მორიგეობის მეთოდიკა - სემინარი.
- პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი.
- სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები - სემინარი.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის კულტურა/ დასაბუთება - სემინარი.
- საარჩევნო კოდექსი - სემინარი.
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა - საერთაშორისო კონფერენცია. ბუდაპეშტი, უნგრეთი.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები - სემინარი.
- განაჩენის დასაბუთება - სემინარი.
- ჟურნალისტთა და მოსამართლეთა ტრენინგი - ტრენინგი.

- საგადასახადო დარღვევები და საგადასახადო დავები - სემინარი.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - სემინარი.
- სასამართლო მედიაცია/მორიგება - სემინარი.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სემინარი და ა. შ.

კანდიდატი ბიძინა სტურუა წარსულში ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: 2006-2010 წლებში კანდიდატი იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2012-2013 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კანდიდატ ბიძინა სტურუას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. - კანდიდატს საკუთრებაში აქვს ორი ბინა (32,4 კვ.მ; 53 კვ.მ) ქ.ბათუმში; ბინა (73,8 კვ.მ)ქ.თბილისში და მსუბუქი ავტომანქანა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.
ბოლო სამი წლის განმავლობაში,ბიძინა სტურუა რადენჯერმე დაჯარიმდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.
მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 22 დეკემბერს ბიძინა სტურუა ცნობილი იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით).
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.
კანდიდატმა ბიძინა სტურუამ წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 1 განაჩენი.
2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე ბიძინა სტურუამ საქმეთა 100% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მოამზადა საქმეთა 100%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 97.9%-ში. საანგარიშო პერიოდში (1052 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1135 საქმე, დღეში საშუალოდ 1.1 საქმემდე.

- **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

-კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო ძირითადად თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ძირითადად კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ასევე უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **18 ქულით.**

-კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი განაჩენით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით.

კანდიდატის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, წარმოდგენილი განაჩენი დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **18 ქულით.**

-კანდიდატის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი წარმოდგენილი განჩენის გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **17 ქულით.**

-საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად

კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **14 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **3 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ბიძინა სტურუას** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **90 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **18 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**18 ქულა**
3. წერის უნარი -**17 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **14 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **15 ქულა**
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **3 ქულა**

ქულათა ჯამი 90 ქულა

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი ი. გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ბიძინა სტურუას

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები ბიძინა სტურუას ახასიათებენ როგორც პატიოსან, თავმდაბალ, ღირსეულ, კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს ახასიათებს კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობის შესრულებისას.

ბიძინა სტურუას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ბიძინა სტურუა პრინციპული, მედეგი და შეუვალი პიროვნებაა. კოლეგები და რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც დამოუკიდებელ, სამართლიან და მიუკერძოებელ მოსამართლეს.

ბიძინა სტურუა არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ბიძინა სტურუა კოლეგებთან თუ ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავდაჭერილი და

თანმიმდევრული. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს ახასიათებს სიდინჯე და შეუძლია ემოციების მართვა.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ. ამასთან, 2014 წლის 22 დეკემბერს ბიძინა სტურუა ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით).

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ბიძინა სტურუას ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც საზოგადოებაში, ასევე, იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბიძინა სტურუა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ბიძინა სტურუამ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის სათანადო დონე. კანდიდატმა იმსჯელა მორალური და იურიდიული სამართლიანობის საკითხზე, საზოგადოებრივი მორალის ჩამოყალიბებაში რელიგიის როლზე, ბუნებით და

პოზიტიურ სამართალზე, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროზე და სხვ.

კანდიდატმა ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს საერთო სასამართლოების პრაქტიკის განვითარებაზე. ამასთან, მან განმარტა, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლისთვის სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ნორმას ან ნორმის ნორმატიულ შინაარს ცნობს არაკონსტიტუციურად. კანდიდატმა ისაუბრა იმ გარემოებებზეც, რომელსაც ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნისას, მათ შორისაა, დამნაშავე პირის ასაკი, ნასამართლეობის სტატუსი, პირობითი მსჯავრი, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხვ. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა ნაკლოვანებებიც - კანდიდატის პასუხი ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით განმტკიცებული დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით განსაზღვრულ დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას შორის ურთიერთმიმართებაზე, არ იყო დამაკმაყოფილებელი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული განაჩენი, რომლის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ ბიძინა სტურუა სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ბიძინა სტურუას აქვს გადაწყვეტილების დასაბუთების, არგუმენტირების კარგი უნარები, რაც დასტურდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებითაც.

საყურადღებოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის

თანახმადაც, ბიძინა სტურუას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 97.9%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. კანდიდატს მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ფორმა მიუღებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აკრძალულია სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტით და სიცოცხლის უფლებას ხელყოფს, არამედ იმიტომაც, რომ სასჯელის აღსრულება შეუძლებელს ხდის მომავალში აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე უკვე დადგენილი სასჯელის გადახედვისა და გადასინჯვის შესაძლებლობას.

კანდიდატმა საინტერესოდ იმსჯელა სიტუაციურ მაგალითებზე (კაზუსებზე): ეპიდემიის პირობებში, თუნდაც კეთილშობილი მიზნით - წამლის შესაქმნელად პაციენტების თანხმობის გარეშე მათზე ექსპერიმენტების ჩატარება დადებითი შედეგის მიუხედავად, კანდიდატის აზრით, გაუმართლებელია და უნდა იწვევდეს შესაბამის პასუხისმგებლობას.

წერის უნარი: ბიძინა სტურუამ წარმოადგინა 1 სასამართლო განაჩენი, რომლის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ბიძინა სტურუა აზრს გადმოსცემს გამართულად და სწორად გრამატიკული და სტილის თვალსაზრისით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატი ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურას და შესაბამის უნარ-ჩვევებს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი. ბიძინა სტურუა საუბრობს აკადემიურად, გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნებისა და სამართლებრივი ლექსიკის ადეკვატური გამოყენების უნარი.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ბიძინა სტურუას ახასიათებენ როგორც საქმისადმი ერთგულ, პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებას. ერთ-ერთი

რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ სხდომის მიმდინარეობისას კანდიდატი გამოირჩევა პროცესის მონაწილეებთან კორექტული და კონსტრუქციული საუბრით. კოლეგების თანახმად, კანდიდატს აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები, შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს სამუშაო პროცესი, სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები და ოპტიმალურად გამოიყენოს დრო და რესურსები. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ბიძინა სტურუა კარგად წარმართავს პროცესს, სათანადოდ ფლობს საპროცესო უნარ-ჩვევებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბიძინა სტურუას საანგარიშო პერიოდში (1052 დღე) დასრულებული აქვს 1135 საქმე, დღეში საშუალოდ 1.1 საქმემდე. ასევე, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც საერთო ჯამში მეტყველებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 15-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, საარჩევნო კოდექსის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განაჩენის დასაბუთების, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა მოიპოვა კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში (01.10.2004 - 01.10.2005 წწ.).

ასევე, კანდიდატმა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიის ფარგლებში განახორციელა სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა“ - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტში. (21.06.2018-20.08.2018 წწ.).

2019 წელს, კანდიდატმა გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ბიძინა სტურუამ 2005 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. 2005 წელს დაამთავრა მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა (გერმანია).

ბიძინა სტურუა იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის V ჯგუფის მსმენელი (2011წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 93-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა სტურუა 2006-2010 წლებში იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2012-2013 წლებში კანდიდატი კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამასთან, ბიძინა სტურუა მონაწილეობდა ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა".

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ბიძინა სტურუა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 18 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 18 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ზიძინა სტურუა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ზიძინა სტურუას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ზიძინა სტურუას შეფასებისას აღსანიშნავია მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მოსაზრებები კანდიდატის შესახებ სადაც ისინი მიუთითებენ კანდიდატის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, კორექტულობას, პასუხისმგებლიანობას, პრინციპულობას, დამოუკიდებლობას, თავდაჭერილობას, შრომისმოყვარეობას, პუნქტუალურობას, პროფესიონალიზმსა და ა.შ. რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე არ უთითებენ.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ბიძინა სტურუა არის პრინციპული და მიუკერძოებელი. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები, კოლეგების აზრით, მოსამართლე იჩენს სათანადო სიმტკიცეს ყოველგვარი ზეგავლენის მიმართ. ბიძინა სტურუა არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა სტურუა როგორც მცხეთის რაიონული სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არის თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნება. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 22 დეკემბერს ბიძინა სტურუა ცნობილი იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით). რაც შეეხება მხარედ კანდიდატის მონაწილეობას საქმეში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის- სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის

		თანახმად, ბიძინა სტურუა მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში და უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა სტურუა მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი - ბიძინა სტურუა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის - ბიძინა სტურუას მატერიალური და პროცესუალური ნორმების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ცოდნის დონე არის მაღალი. გასაუბრებისას ბიძინა სტურუამ დასმულ შეკითხვებს ძირითადად გასცა სწორი და თანმიმდევრული პასუხები, თუმცა დაფიქსირდა გარკვეული უზუსტობებიც, მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვის ცალკეული საკითხებში. ბიძინა სტურუას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით 24.01.2009 წ. იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის V ჯგუფის მსმენელი, სკოლის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს 93-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, რომელიც დამაჯერებლად დასაბუთებულია. შესწავლილი გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები

			და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას.
წერის უნარი	18	20	**წერის უნარის კუთხით** შეფასებისას კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დავრწმუნდი, რომ მოსამართლე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკურია, თუმცა ხშირად გამოყენებულია რთული წინადადებები, ასევე ტექსტში დაფიქსირებულია გარკვეული ტექნიკური ხარვეზებიც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. ასევე გააჩნია სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები გარშემომყოფთათვის ადვილად აღსაქმელია. საუბრისას გამოვლინდა ანალიტიკური აზროვნება, თუმცა კანდიდატისათვის რთული საკითხის გადმოცემის დროს გამოვლინდა აზრის გადმოცემის გარკვეული ბუნდოვანება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას,

			რომ ბიძინა სტურუა როგორც მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეპყრობა ერთგვაროვნად კორექტულად, სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. რაც შეეხება ბიძინა სტურუას მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მონაცემები შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100% გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100% გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 97,9%; შეცვლილი -2,1%. საანგარიშო პერიოდში (1052 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1135 საქმე, დღეში საშუალოდ 1,1 საქმემდე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსებას, რაც დადებითი მახასიათებელია და თავისთავად მოწმობს იმას, რომ

			მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ თვითგანვითარებას. კანდიდატი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი., ასევე 2012-2013 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კანდიდატმა მოიპოვა კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელის უნივერსიტეტში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში (01.10.2004 -01.10.2005 წწ.). ბ. სტურუამ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიის ფარგლებში განახორციელა სამეცნიერო კვლევა თემაზე „ელექტრონული მმართველობა"- ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტი (21.06.2018-20.08.2018 წწ.). კანდიდატმა გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (29.03.2019-15.04.2019 წწ.).
პროფესიული აქტივობა	4	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი - ბიძინა სტურუა აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და

			მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. ბიძინა სტურუამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში: - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - სემინარი. - გერმანული ენა, გოეთეს ინსტიტუტი - სასწავლო კურსი; გიოტინგენი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. - მორიგეობის მეთოდიკა - სემინარი. - პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი. - სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები - სემინარი. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის კულტურა/ დასაბუთება - სემინარი. - საარჩევნო კოდექსი - სემინარი. - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა - საერთაშორისო კონფერენცია. ბუდაპეშტი, უნგრეთი. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები - სემინარი. - განაჩენის დასაბუთება - სემინარი. - ჟურნალისტთა და მოსამართლეთა ტრენინგი - ტრენინგი. - საგადასახადო დარღვევები და საგადასახადო დავები - სემინარი.

			- პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - სემინარი. - სასამართლო მედიაცია/მორიგება - სემინარი. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სემინარი და ა. შ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში კანდიდატის მხრიდან გამოვლინდა პროფესიული აქტივობის ნაკლებობა.
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი: 29.05.21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბიძინა სტურუას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

ბიძინა სტურუა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და გაწონასწორებული. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ამასთან, ის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. მას დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონით დადგენილი ვადების დაცვით. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	

სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კარგია მისი ცოდნის დონე ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კანდიდატი ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით. ის იცნობს ეროვნული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს საკმაოდ დასაბუთებულად, თანმიმდევრულად, ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, მის მიერ გაკეთებული ნორმათა გამარტებები, განაჩენის ხდის მხარეთათვის მარტივად აღქმადსა და გასაგებს. მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის კარგი უნარი.
წერის უნარი	20	20	წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, ამასთან, მარტივი და გასაგები ენით. განაჩენში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და განაჩენის დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს გააჩნია საკმაოდ დამაჯერებელი, დალაგებული და გამართული მეტყველების უნარი. აზრს გამოხატავს მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. მან გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის კარგი უნარი. მას შესწევს უნარი დაიცვას თავისი მოსაზრებები და პოზიცია, ამავდროულად შეინარჩუნოს კორექტულობა და თავშეკავებულობა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის სისწრაფესა და პროდუქტიულობაზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა

			და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%). აღნიშნული, ასევე მეტყველებს კანდიდატის მიერ დროის სწორი და რაციონალური განაწილების უნარზე. კანდიდატს აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს, როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისოს. მას აქვს გავლილი სასწავლო კურსები და სტაჟირება, მოპოვებული აქვს სტიპენდიები. შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კანდიდატი რელევანტურად იყენებს სამოსამართლო პრაქტიკის განხორციელებისას.
პროფესიული აქტივობა	3	5	ამ ეტაპზე კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, კანდიდატს ჩატარებული აქვს სამეცნიერო კვლევა.
ქულათა ჯამი	**94**	**100**	
დასაბუთება			

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ბიძინა სტურუას, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
- *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
- *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
- *ფინანსური ვალდებულება.*

<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბიძინა სტურუას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ეკისრება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ბიძინა სტურუას მისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ ის სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობებს.

გასაუბრების შედეგად კანდიდატი შემიძლია დავახასიათო როგორც კორექტული, თავშეკავებული და გაწონასწორებული ადამიანი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ, ამასთან კორექტულობისა და ეთიკურობის სრული დაცვით.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების მიერ კანდიდატის დახასიათებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ის არის პრინციპული, მიუკერძოებელი. ამასთან, დახასიათების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და დაიცვას თავისი პოზიცია.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა და ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ბიძინა სტურუა არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

ბიძინა სტურუას სათანადოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის გამოირჩევა გაწონასწორებულობით, თავდაჭრილობითა და ემოციების მართვის უნარით, რაც მან გამოავლინა გასაუბრების მიმდინარეობისას, ამასთან, აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ კანდიდატის გამოკითხული კოლეგები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს ბიძინა სტურუა ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ დავაში მხარედ არ წარმოდგენილა, ამასთან მის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდება.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>

აღსანიშნავია, რომ ბიძინა სტურუა სარგებლობს საკმაოდ კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები მას ახასიათებენ ძალიან კარგად. ისინი ხაზს უსვამენ კანდიდატის პატიოსნებას, კორექტულობას, პასუხისმგებლიანობას, პრინციპულობას, დამოუკიდებლობას, თავდაჭერილობასა და ა.შ.. ამასთან, გამოკითხული რესპოდენტების აზრით კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც მას ხელს შეუშლიდა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში.

<u>ფინანსური ვალდებულება</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ბიძინა სტურუა სათანადო შეგნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობებს, მათ შორის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. შესაბამისად, აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება

	კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ ბიძინა სტურუა <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> <u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* <u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u> გასაუბრების მიმდინარეობისას ბიძინა სტურუას დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი ცდილობდა სათანადოდ განეხილა თითოეული საკითხი და ემსჯელა ამომწურავად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად. თუმცა, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით მას გაუჭირდა სიღრმისეული მსჯელობის განვითარება. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა იძლევა მისი კომპეტენტურობის, კერძოდ, სამართლის ნორმათა ცოდნის შეფასების საფუძველს. ბიძინა სტურუა კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მან ამომწურავად და დასაბუთებულად იმსჯელა სისხლის სამართლის სფეროს ფარგლებში დასმულ ყველა საკითხთან დაკავშირებით. საკითხებზე მსჯელობისას მან გამოხატა თავისი მოსაზრებები, ასევე განიხილა გამოწვევები და პრობლემები როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლოს პრაქტიკის კუთხით. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა, რომ აღნიშნული სპეციალიზაციის ფარგლებში აქტიურად ეცნობა და სიღრმისეულად აანალიზებს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობას.

	კანდიდატი კარგად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის ასევე ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით. გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატმა იმსჯელა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე მიმოიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კანდიდატი ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მან მიმოიხილა კიდეც აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებები და განმარტებები. ამასთან, კანდიდატი ეცნობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო აქტებს. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ცოდნის დონე სამართლის ფილოსოფიის სფეროში. მან საინტერესოდ და ამომწურავად იმსჯელა მორალურ და კანონიერ სამართლიანობასთან დაკავშირებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა განავითარა ძალიან საინტერესო მსჯელობა ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებით, მისი მიდგომები და ხედვები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მიმაჩნია, რომ არის საინტერესო და განსხვავებული. საბოლოო ჯამში, გასაუბრებაზე კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის საკითხების განხილვის შედეგად, მან ამომწურავად და დამაკმაყოფილებლად იმსჯელა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 78%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის მიერ განხილულ საქმეზე გამოტანილი განაჩენს გაცნობის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს საკმაოდ დასაბუთებულად, თანმიმდევრულად, ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, მის მიერ გაკეთებული ნორმათა განმარტებები, განაჩენს ხდის მხარეთათვის მარტივად აღქმადსა და გასაგებს. კანდიდატი თავის განაჩენში, ნორმათა და უფლებათა განმარტებების მიზნით სათანადოდ და რელევანტურად იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის სტრუქტურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად არის

ჩამოყალიბებული და ფორმალურად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

განაჩენში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.

კანდიდატს გააჩნია 14-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 9-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია.

<u>წერის უნარი</u>

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენის გაცნობის შედეგად, მიმაჩნია, რომ თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, ამასთან მარტივი და გასაგები ენით. განაჩენში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და განაჩენის დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია საკმაოდ დამაჯერებელი, დალაგებული და გამართული მეტყველების უნარი. აზრს გამოხატავს მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის კარგი უნარი. მას შესწევს უნარი დაიცვას თავისი მოსაზრებები და პოზიცია, ამავდროულად შეინარჩუნოს კორექტულობა და თავშეკავებულობა.

<u>პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდაციებისა და სპეციალური კითხვარებში კანდიდატის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ ის არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის სისწრაფესა და პროდუქტიულობაზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%). აღნიშნული, ასევე მეტყველებს კანდიდატის მიერ დროის სწორი და რაციონალური

	განაწილების უნარზე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს აქვს სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, რაც მიმაჩნია, მეტყველებს მის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ. მას აქვს თვითგანვითარების კარგი უნარი. გარდა იმისა, რომ ის საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს, როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისოს. მას გავლილი აქვს თანაშემწის კომპლექსური სასწავლო კურსი. ასევე კანდიდატს მოპოვებული აქვს კვლევითი სტიპენდია მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტში. კანდიდატს გავლილი აქვს ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეების მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფარგლებში. შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კანდიდატი რელევანტურად იყენებს სამოსამართლო პრაქტიკის განხორციელებისას. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** ამ ეტაპზე კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, კანდიდატმა ჩაატარა სამეცნიერო კვლევა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიის ფარგლებში, თემაზე „ელექტრონული მმართველობა“.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.